

პარლამენტის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე ბაზა სარადიძეს შეხვდა



თბილისში, ხორავას ქუჩაზე მკვდელობის საქმის მასალების გამოთხოვის მიზნით, დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიიდან შესაბამის უწყებებში წერილები უკვე გაიგზავნა. კომისიის

თავმჯდომარე სერგი კაპანაძე იმედოვნებს, რომ მასალებს კომისია უმოკლეს ვადაში მიიღებს და გამოკვლევა დროულად დაიწყება.

„წერილი გაიგზავნა ყველა შესაბამის უწყებაში, რომ რაც შეიძლება მალე, ყოველგვარი დაგვიანების გარეშე მასალები მოვიდეს ჩვენთან კომისიაში. საუბარია ერთ-ორ დღეზე. ვინმეს თუ რამე იღუბია აქვს რომელიმე უწყებაში, რომ მასაღას არ მოგვცემს ან დაგვიგვიანებს, ეს უნდა დაივიწყოს ყვერამ. უმოკლეს ვადაში, ერთ-ორ დღეში ყვერა მასაღა იყოს ხერმისანვლომი კომისიისთვის აქ, პარლამენტში“, – განაცხადა კაპანაძემ.

პროკურატურის საქმის მასალები 14 ტომისგან შედგება და კომისია ეცდება, მოცულობითი საქმე რაც შეიძლება მალე შეისწავლოს.

დღესვე სერგი კაპანაძე ბაზა სარადიძეს შეხვდა. საქმეზე უფრო დეტალურად სასაუბროდ კი, სარადიძე პარლამენტში ხვარ აღვოკატთან ერთად მივა.

„ბაზა სარადიძე თვითონ დააფიქსირებს პოზიციას კომისიასთან მიმართებაში და თქვენ თვითონ განსაჯეთ, აქვს თუ არა მას ნდობა. მასთან სახღში ჩვენ საკმაოდ ხანგრძლივი შეხვედრა გვექონდა. ძარიან ბევრ დეტაღზე ვისაუბრეთ, შევთანხმდით, რომ გავავრძეღებთ

თანამშრომლობას. ზაზა სარაღიძე საგამოძიებო კომისიის სხდომაზე ხვად ადვოკატთან ერთად მოვა“- განაცხადა სერგი კაპანაძემ.

დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის პირველი სხდომა ხვად გაიმართება. სხდომაზე დამტკიცდება დებულება და განისაზღვრება შემდგომი სამოქმედო გეგმა, მათ შორის კომისიის მიერ გამოსაკითხ პირთა დაახლოებითი სია.